№481 2012 წლის 28 დეკემბერი ქ. თბილისი

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესის დამტკიცების შესახებ

მუხლი 1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დადგენილების ამოქმედებიდან 2 წლის ვადით, დამტკიცდეს თანდართული შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი.

მუხლი 2. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ბიძინა ივანიშვილი**

დამტკიცებულია
საქართველოს მთავრობის
2012 წლის 28 დეკემბრის
N 481 დადგენილებით

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალური წესი (შემდგომში – წესი) შემუშავებულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად და ადგენს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახსრებით საქონლისა და მომსახურების შესყიდვების სპეციალურ წესს. ამ წესის მიზანია განსახორციელებელი მომსახურებისა და საქონლის შესყიდვების პროცედურების გამარტივება, კომპანიის მიზნების შეუფერხებლად განხორციელების უზრუნველყოფა.

2. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ სამუშაოების შესყიდვაზე ვრცელდება საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანება „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“.

3. შესყიდვის განხორციელებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს მსოფლიო ბანკის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის რეკონ-

სტრუქციისა და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის, სხვა დონორი (დამფინანსებელი) ორგანიზაციებისა და ქვეყნების მიერ განსაზღვრული შესყიდვის პროცედურები, თუ შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილე რომელიმე ზემოაღნიშნული სუბიექტია. იმ შემთხვევაში, თუ სუბიექტები არ არიან შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული სამართალურთიერთობის მონაწილენი, მათი, აგრეთვე სხვა სუბიექტების შესყიდვის პროცედურები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს მხოლოდ საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

4.საქონლისა და მომსახურების შესყიდვების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

ამ წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შესყიდვა – შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ ამ წესის №1 დანართით განსაზღვრული თითოეული სახის საქონლისა და მომსახურების შესყიდვა;

ბ) შემსყიდველი ორგანიზაცია – შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“;

გ) შესყიდვის ობიექტი – შესასყიდი საქონელი ან/და მომსახურება;

დ) საქონელი – ნებისმიერი სახისა და აღწერილობის ქონება (გარდა უძრავი ქონებისა) როგორც მყარ, ისე თხევად ან აირად მდგომარეობაში, აგრეთვე საქონლის მიწოდების თანმდევი მომსახურება, თუ ამ მომსახურების ღირებულება არ აღემატება საქონლის ღირებულებას;

ე) მომსახურება – შესყიდვის ნებისმიერი ობიექტი, საქონლისა და სამუშაოს გარდა. ამასთან, ამ წესის მიზნებისათვის ტერმინი – მომსახურება მოიცავს იჯარას, ქირავნობასა და ლიზინგს;

ვ) ერთ პირთან მოლაპარაკება – საქონლისა და მომსახურების შესყიდვის გამარტივებული საშუალება;

ზ) პირობათა გამოკითხვა –საქონლისა და მომსახურების შესყიდვის საშუალება;

თ) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის საშუალება;

ი) ელექტრონული ტენდერი – „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული შესყიდვის საშუალება;

კ) პრეტენდენტი – შესყიდვის მონაწილე პირი, რომელიც წარადგენს პირობათა გამოკითხვის წინადადებას;

ლ) მიმწოდებელი – პირი, რომელიც შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ აწვდის საქონელს ან/და უწევს მომსახურებას ამ წესის შესაბამისად;

მ) პირობათა გამოკითხვა – გამარტივებული საშუალება საქონლისა და მომსახურების შესყიდვისათვის;

ნ) კომისია – შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორის მიერ ამ წესის მე-6 მუხლის შესაბამისად შექმნილი კომისია.

მუხლი 3. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ უფლებამოვალეობები

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ უფლებამოსილია:

ა) ამ წესის შესაბამისად მოახდინოს პრეტენდენტთა შერჩევა;

ბ) ამ წესის დაცვით შეარჩიოს მიმწოდებელი;

გ) ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ აღნიშნული შესყიდვა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიისათვის“ წამგებიანი აღმოჩნდება;

დ) განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა;

ე) შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევების არსებობისას.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები

1. ინტერესთა კონფლიქტი ეხება შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებული საკვალიფიკაციო მონაცემებისა და პირობათა გამოკითხვის წინადადებების განხილვას, შერჩევას და შეფასებას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირს ექნება ინტერესთა კონფლიქტი პრეტენდენტთან ან მიმწოდებელთან, თუ მათ შორის არსებობს საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-19 მუხლით გათვალისწინებული ურთიერთობები.

3. დაუშვებელია, პრეტენდენტმა ან მიმწოდებელმა ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მოახდინოს ზეგავლენა მისთვის ხელსაყრელი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

4. მას შემდეგ, რაც ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელი პირისთვის ცნობილი გახდება პრეტენდენტის ან მიმწოდებლის ვინაობა, იგი ვალდებულია წერილობით

დაადასტუროს, რომ ამ შესყიდვის განხორციელებაში მისი მონაწილეობა არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

5. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს აღნიშნულის თაობაზე და შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში.

მუხლი 5. შესყიდვის საშუალებები

1. შესყიდვის საშუალებებია:

ა) ერთ პირთან მოლაპარაკება;

ბ) პირობათა გამოკითხვა;

გ) გამარტივებული ელექტრონული ტენდერი;

დ) ელექტრონული ტენდერი.

2. შესყიდვა ხორციელდება პირობათა გამოკითხვის საშუალებით, თუ ამ მუხლით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

3. შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, თუ:

ა) ამ წესის N1 დანართით განსაზღვრული თითოეული სახის საქონლის ან მომსახურების ღირებულება 1 კალენდარული (სამეურნეო) წლის განმავლობაში არ აღემატება 500 000 ლარს;

ბ) საქონლის მიწოდება ან მომსახურების გაწევა მხოლოდ ერთი პირის ექსკლუზიური უფლებაა;

გ) მიმწოდებლისაგან შესყიდული ობიექტის ხარისხის გაუარესების თავიდან აცილების ან/და მისი შემდგომი ექსპლუატაციის უზრუნ-

ველყოფის მიზნით აუცილებელია შესყიდვა იმავე მიმწოდებლისაგან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც განსახორციელებელი შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება აღემატება თავდაპირველი მიწოდების ღირებულებას;

დ) ხორციელდება შესყიდული საქონლის ახალი, იმავე ან გაუმჯობესებული პარამეტრების მქონე საქონლით ჩანაცვლება;

ე) მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევის არსებობისას.

4. პირობათა გამოკითხვის პროცედურებს ახორციელებს კომისია.

5. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორის გადაწყვეტილებით, შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და/ან ელექტრონული ტენდერის საშუალებით.

6. ელექტრონული ტენდერისა და გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით შესყიდვა ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

მუხლი 6. კომისიის შექმნისა და საქმიანობის წესი

1. პირობათა გამოკითხვას ატარებს კომისია, რომელსაც ბრძანებით ქმნის შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორი არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.

2. კომისიის წევრებად ინიშნებიან შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ თანამშრომლები.

3. კომისიას თავმჯდომარეობს შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილების მქონე პირი ან მის მიერ დანიშნული პირი.

4. კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად შეიძლება მოწვეულ იქნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები.

5. კომისია გადაწყვეტილებებს იღებს კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი აზრი, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

6. კომისიის სხდომის შესახებ დგება ოქმი, რომელსაც ხელს აწერენ სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები და კომისიის თავმჯდომარე.

მუხლი 7. განცხადება პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ

1. პირობათა გამოკითხვის ჩატარებისას კომისია შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ სახელით პირობათა გამოკითხვის დოკუმენტაციას (შემდგომში – დოკუმენტაცია) უგზავნის მის მიერ შერჩეულ არანაკლებ სამ პირს. თუ ვერ მოხერხდა სამი პირის შერჩევა, ასეთ შემთხვევაში პირობათა გამოკითხვის შესახებ განცხადებას აქვეყნებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

2. პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებულ უნდა იყოს:

ა) შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ რეკვიზიტები;

ბ) შესასყიდი საქონლისა და მომსახურების სახეობა, რაოდენობა, ხარისხი და სავარაუდო ღირებულება. იმ შემთხვევაში, თუ შესყიდვის ობიექტის (ნავთობპროდუქცია და სხვა მსგავსი საქონელი) ღირებულება თავისი სპეციფიკის გამო დამოკიდებულია საერთაშორისო სასაქონლო

ბირჟაზე არსებულ ცვალებად ფასებზე, შესაძლებელია, შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დადგენისას შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიამ“ გაითვალისწინოს შემსყიდველის მიერ განსაზღვრული მომენტისათვის კონკრეტულ საერთაშორისო სასაქონლო ბირჟაზე არსებული მაჩვენებელი. ასეთ შემთხვევაში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულების დასადგენად გამოიყენება კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით გათვალისწინებული წესი, მიწოდების ადგილი და ფორმა, შესრულების ადგილი, აგრეთვე სხვა მონაცემები, რომელთა მითითებას შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ საჭიროდ მიიჩნევს შესყიდვის ობიექტის აღწერის მიზნით;

გ) შესასყიდი საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის სასურველი ან სავალდებულო ვადები;

დ) პირობათა გამოკითხვის შესახებ წინადადებების წარდგენის ვადა, ადგილი და ენა;

ე) საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, ასეთის მოთხოვნის შემთხვევაში;

ვ) დოკუმენტაციის გატანის წესი, ვადა და ადგილი.

3. პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ განცხადებას ამტკიცებს კომისია.

4. კომისიას უფლება აქვს, შეცვალოს პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ განცხადებაში მითითებული ინფორმაცია. ეს ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს იმავე საინფორმაციო საშუალებებში, რომლებშიც გამოქვეყნდა განცხადება პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ, ასევე მიეწოდოთ ინფორმაცია წერილობითი სახით იმ პრეტენდენტებს, რომელთაც დაეგზავნათ ან რომლებმაც გაიტანეს დოკუმენტაცია.

5. პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ განცხადებაში შეტანილი ცვლილებები უნდა გამოქვეყნდეს გონივრულ ვადებში, შესყიდვის ობიექტის სპეციფიკიდან გამომდინარე.

მუხლი 8. საკვალიფიკაციო მონაცემები

შესყიდვის მონაწილეობის მსურველთათვის საკვალიფიკაციო მონაცემების შესახებ მოთხოვნებს ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს კომისია.

მუხლი 9. პირობათა გამოკითხვის დოკუმენტაცია

1. კომისია დოკუმენტაციას ამტკიცებს პირობათა გამოკითხვის ჩატარების შესახებ განცხადების გაგზავნამდე ან მის გამოქვეყნებამდე.

2. დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

ა) განაცხადს პირობათა გამოკითხვის პროცედურაში მონაწილეობისათვის;

ბ) ინფორმაციას ტექნიკური შესაბამისობის შესახებ (შესყიდვის ობიექტის დასახელება, შესყიდვის ობიექტის აღწერილობა);

გ) ინფორმაციას ფასებისა და მიწოდების გრაფიკის შესახებ;

დ) პირობათა გამოკითხვის წინადადებას;

ე) შეფასების კრიტერიუმებს.

მუხლი 10. პრეტენდენტთა პირობათა გამოკითხვის წინადადების წარდგენისა და განხილვის წესი

1. პირობათა გამოკითხვის წინადადების (შემდგომში – წინადადება) წარდგენა შესაძლებელია დახურული კონვერტით. შეთავაზებული წინადადებების შერჩევა ხდება პრეტენდენტთა თანდასწრებით.

2. პრეტენდენტებს უფლება აქვთ, კონვერტების გახსნამდე ნებისმიერ დროს წერილობით გამოითხოვონ ან შეცვალონ წინადადება.

3. შესული წინადადებების შერჩევა ხდება იმავე დღეს, წინადადების მიღების დამთავრებისთანავე, ხოლო გამარჯვებული გამოვლინდება შერჩევის დასრულებიდან 2 დღის ვადაში.

4. კომისია პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას ახდენს იმ შემთხვევაში, თუ:

ა) პრეტენდენტის მიერ არ არის წარდგენილი ყველა საჭირო დოკუმენტი (თანმხლები დოკუმენტების ჩათვლით) ან/და ინფორმაცია, საჭიროების შემთხვევაში – ნიმუში;

ბ) შესყიდვის პროცედურების დროს ადგილი ექნება პრეტენდენტის არაკეთილსინდისიერ ქმედებას;

გ) შესყიდვის პროცედურების მონაწილე პირის მიერ წარდგენილი მონაცემები ან/და მათი დამადასტურებელი დოკუმენტები ყალბი აღმოჩნდება.

5. შემსყიდველი იტოვებს უფლებას, წარდგენილ დოკუმენტაციაში რაიმე სახის ეჭვის გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს პრეტენდენტს აღნიშნული დოკუმენტის ხელახალი (დაზუსტებული) წარდგენა.

6. წინადადების შერჩევის დროს უნდა შემოწმდეს, არის თუ არა მასში დაშვებული მექანიკური შეცდომები. შეცდომების გამოვლენის შემთხვევაში კომისიამ ამ წინადადების წარმდგენ პრეტენდენტს უნდა შესთავაზოს შეცდომის გამოსწორება.

7. კომისია ვალდებულია ზეპირ ვაჭრობაზე მოიწვიოს ის პრეტენდენტები, რომლებიც შერჩევის პროცედურების დასრულების შემდეგ დაიშვებიან შეფასებაზე. ამასთან, ზეპირი ვაჭრობის დროს დასაშვებია მხოლოდ წინადადებით წარდგენილი ფასის შეცვლა.

8. წინადადებები შეფასდება დოკუმენტაციაში მითითებული კრიტერიუმებისა და ამ კრიტერიუმების პრიორიტეტულობის გათვალისწინებით.

9. წინადადების შეფასებისას შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი კრიტერიუმები:

ა) წინადადების ღირებულება;

ბ) საქონლის მიწოდებისა და მომსახურების გაწევის ვადები;

გ) საქონლისა და მომსახურების ხარისხობრივი პარამეტრები და ფუნქციონალური მახასიათებლები;

დ) ანგარიშსწორების ფორმები და პირობები.

10. შეფასებისას გამოყენებულ თითოეულ კრიტერიუმს უნდა გააჩნდეს ციფრობრივად გამოსახული ხვედრითი წონა ჯამურ შეფასებაში (პრიორიტეტულობის მაჩვენებელი), რომელიც უნდა გამოიხატოს კოეფიციენტის სახით, ამასთან, ყველა კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტების ჯამი უნდა უდრიდეს ერთ მთელს. მათ შორის ფასთა გამოკითხვის კოეფიციენტი გათვალისწინებული იქნება არანაკლებ 0.4-ით.

11. კომისიის თითოეული წევრი წერილობითი ფორმით აფასებს ყოველი პრეტენდენტის წინადადებას ცალ-ცალკე, ყოველი კრიტერიუმის მიხედვით, ათქულიანი სისტემით. თითოეული კრიტერიუმის მიხედვით პრეტენდენტისათვის მინიჭებული ქულა მრავლდება ამ კრიტერიუმის პრიორიტეტულობის კოეფიციენტზე, ხოლო მიღებული ნამრავლის დაჯამებით გამოითვლება თითოეული პრეტენდენტის წინადადების ჯამური შეფასება. კომისიის წევრის მიერ ერთ-ერთი პრეტენდენტისათვის მინიჭებული ყველაზე მაღალი ჯამური შეფასება ჩაითვლება ამ პრეტენდენტისათვის მიცემულ ერთ ხმად.

12. პრეტენდენტი გამარჯვებულად ჩაითვლება, თუ მას კომისიის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობის დასკვნით მიენიჭება უპირატესობა. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის დასკვნა.

13. კომისიის გადაწყვეტილება პირობათა გამოკითხვის პროცედურაში გამარჯვებული პრეტენდენტის შესახებ ფორმდება კომისიის სხდომის ოქმით, რომელსაც თან ერთვის კომისიის წევრთა დასკვნები. ოქმში აგრეთვე მოკლედ უნდა იყოს აღწერილი პრეტენდენტების მიერ წარდგენილი წინადადებები.

მუხლი 11. პირობათა გამოკითხვისას ზეპირი ვაჭრობის ჩატარების წესი და პირობები

1. ზეპირი ვაჭრობა გაიმართება შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ დოკუმენტაციაში მითითებულ ადგილზე.

2. შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია შერჩევის პროცედურის დასრულებისთანავე დაადგინოს დოკუმენტაციაში მითითებულ დღეს ზეპირი ვაჭრობის დაწყების კონკრეტული დრო და ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს შეფასებაზე დაშვებულ პრეტენდენტებს.

3. კომისია ვალდებულია ზეპირ ვაჭრობაზე მოიწვიოს ის პრეტენდენტები, რომლებიც შერჩევის პროცედურების დასრულების შემდეგ დაიშვებიან შეფასებაზე.

4. ზეპირ ვაჭრობაზე გამოუცხადებლობა ან/და ზეპირ ვაჭრობაში მონაწილეობაზე უარი არ გამოიწვევს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

5. ზეპირი ვაჭრობის გამართვის დროს კომისია წარუდგენს ზეპირი ვაჭრობის მონაწილე პრეტენდენტებს მათ მიერ წინადადებებით წარდგე-

ნილ ფასებს ან/და ერთეულის ფასებს (მათი არსებობის შემთხვევაში) (შემდგომში – ფასი). აღნიშნული ინფორმაციის მიღების შემდეგ თითოეულ მონაწილე პრეტენდენტს უფლება აქვს, სამჯერ მოახდინოს წინადადების ფასის ცვლა კლებადობის პრინციპის დაცვით.

6. ზეპირი ვაჭრობის მონაწილე პრეტენდენტების მიერ წინადადების ფასის ცვლა ხორციელდება რიგითობით. წინადადების ფასის ცვლას იწყებს შეფასებაზე დაშვებული უმაღლესი წინადადების ფასის მქონე და რიგითობის პრინციპით აგრძელებს ყოველი წინაზე უფრო დაბალი ფასის წარმდგენი.

7. ზეპირი ვაჭრობა დასრულებულად ითვლება ყოველი მონაწილის მიერ თავისი ფასის სამჯერ შეცვლის ან/და საბოლოო ფასის დაფიქსირების მომენტში. ზეპირი ვაჭრობის პროცედურა უნდა დასრულდეს მისი ჩატარების დღეს.

8. ზეპირი ვაჭრობის მსვლელობა, მათ შორის, თითოეული მონაწილე პრეტენდენტის წინადადების ფასი და ყოველ ჯერზე შეცვლილი დაფიქსირებული ფასი, უნდა აისახოს შესაბამის ოქმში, რომელსაც ხელს აწერენ კომისიის ყველა წევრი და მონაწილე პრეტენდენტები. ზეპირი ვაჭრობის მონაწილე პრეტენდენტების მიერ ოქმის ხელმოწერაზე უარის თქმა მიიჩნევა, როგორც უარი მის მიერ ზეპირ ვაჭრობაზე დაფიქსირებულ ყველა შეცვლილ ფასზე და ძალაში დარჩება მისი წინადადების პირვანდელი ფასი.

9. ზეპირ ვაჭრობაზე საბოლოო ფასების დაფიქსირების შემდეგ შეფასება ხორციელდება ამ წესის შესაბამისად.

მუხლი 12. გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების დადება

1. ამ წესის შესაბამისად გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე გამარჯვებულ პრეტენდენტსა და შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიას“ შორის იდება ხელშეკ-რულება.

2. გამარჯვებული პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის ან მის მიერ ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შემთხვევაში კომისია მიმარ-თავს პირობათა გამოკითხვის პროცედურის მონაწილე დანარჩენ პრეტენ-დენტებს წინადადებათა ხელახალ განხილვაში მონაწილეობის თაობაზე. თუ არც ერთმა პრეტენდენტმა არ გამოთქვა თანხმობა წინადადებათა ხელახალ განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე, ტარდება ახალი პირო-ბათა გამოკითხვა. თუ წინადადებათა ხელახალ განხილვაში მონაწილეო-ბაზე თანხმობა გამოთქვა ერთმა ან რამდენიმე პრეტენდენტმა, ხდება მათი წინადადებების ხელახალი განხილვა.

მუხლი 13. ჩაშლილი პირობათა გამოკითხვა

1. პირობათა გამოკითხვა ითვლება ჩაშლილად, თუ:

ა) დადგენილ ვადებში არ იქნა წარდგენილი არც ერთი პირის საკვა-ლიფიკაციო მონაცემები და/ან წინადადება;

ბ) არც ერთი პირის მიერ წარდგენილი საკვალიფიკაციო მონაცემები ან/და წინადადება არ შეესაბამებოდა შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მოთხოვნებს;

გ) წარდგენილი წინადადების ფასებიდან არც ერთი არ შეესაბამება შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ ფინანსურ შესაძლებლობებს.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში ტარდება ხელახალი პირობათა გამოკითხვა, ან კომისიის გადაწყვეტილებით, აუცილებლობის შემთხვევაში, შესყიდვა ხორციელდება ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით.

მუხლი 14. ხელახალი პირობათა გამოკითხვა

1. პირობათა გამოკითხვის ჩაშლილად გამოცხადების შემდეგ კომისიას შეაქვს საჭირო ცვლილებები ახალ დოკუმენტაციაში და ატარებს ხელახალ პირობათა გამოკითხვას.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ დირექტორს უფლება აქვს, შეცვალოს კომისიის შემადგენლობა.

მუხლი 15. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობები და მათი გადასინჯვის წესი

1. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს ზეპირი ან წერილობითი ფორმით, თუ ამ წესით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

2. შესყიდვის განხორციელება დასაშვებია წერილობითი ხელშეკრულების გარეშე ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით, თუ შესყიდვის საერთო ღირებულება არ აღემატება 20 000 ლარს.

3. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, როგორც წესი გამოიყენება ხელშეკრულების შესრულების გარანტირების მექანიზმი.

4. ხელშეკრულების შესრულებისა და ავანსის უზრუნველყოფის გარანტიების მექანიზმის მოთხოვნა სავალდებულოა, თუ:

ა) ხელშეკრულებით გათვალისწინებულია წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) და მისი ოდენობა აღემატება ხელშეკრულების საერთო ღირებულების 50%-ს;

ბ) ხელშეკრულების საერთო ღირებულება საქონლის შესყიდვის შემთხვევაში აღემატება 100 000 ლარს;

გ) ხელშეკრულების საერთო ღირებულება მომსახურების შესყიდვის შემთხვევაში აღემატება 200 000 ლარს.

5. მიმწოდებელთან დადებული ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

მუხლი 16. ანგარიშის წარდგენა

1. შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანია“ განხორციელებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვის შესახებ ანგარიშს ყოველწლიურად წარუდგენს სსიპ –კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს არა უგვიანეს მომდევნო წლის 20 თებერვლისა.

2. ანგარიში წარდგენილ უნდა იქნეს ამ წესის №2 და №3 დანართების შესაბამისად.

მუხლი 17. ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ამ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

დანართი №1

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ შესასყიდი საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალი

	საქონელი
1	საოფისე და კომპიუტერული მანქანები, აქსესუარები, მოწყობილობები და მარაგი პროგრამების პაკეტის ჩათვლით
2	საკანცელარიო საქონლი
3	საოფისე ავეჯი
4	ავეჯი
5	ელ. გამათბობლები
6	მაცივრები
7	ტელევიზორები
8	ფოტოაპარატები
9	ტელეფონის აპარატები (მათ შორის უკაბელო ტელეფონის აპარატები)
10	რაციები
11	კონდენციონერები
12	ჟურნალ გაზეთები და სპეცლიტერატურა
13	ორგანიზაციის ბეჭდები, ბლანკები და ქვითრები
14	სასაქონლო ზედდებულები
15	საგზურის ფურცლები
16	სავიზიტო ბარათები
17	სპეცტანსაცმელი და აღჭურვილობა
18	სამეურნეო საქონელი
19	სამუშაო იარაღები და ხელსაწყოები
20	სხვადასხვა მასალის მილები
21	ფურცლოვანი ლითონი
22	გასაჩარხი მასალა (მრგვალი რკინა)
23	სხვადასხვა მასალის სხმულები
24	ლაბორატორიული აღჭურვილობა
25	ქიმიური ხსნარები და რეაქტივები
26	დაზგა-დანადგარები
27	ავტო მანქანები
28	სპეც. სამშენებლო ტექნიკა
29	რეციკლირების მანქანის საჭრისები, საჭრისის ბუდეები, საჭრისის ბუდის ძირები და საჭრისის ბუდეების სამაგრები
30	გრეიდერის სათადარიგო ნაწილები
31	"ვირტგენ ინტერნაციონალის" ჯგუფში შემავალი სპეც. ტექნიკის

	სათადარიგო ნაწილები
32	"კატერპილარის" ჯგუფში შემავალი სპეც. ტექნიკის სათადარიგო ნაწილები
33	ავტო მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის სათადარიგო ნაწილები
34	ქვის სამსხვრევი საამქროს მალცვეთადი ნაწილები
35	ქვის სამსხვრევი საამქროს სათადარიგო ნაწილები
36	ქვის სამსხვრევის ელ. ნაწილები და აგრეგატები
37	სამსხვრევის ყბები
38	ქვის სამსხვრების ბადეები
39	ტრანსპორტიორის ლენტები
40	ბეტონის ქარხნის მალცვეთადი ნაწილები
41	ბეტონის ქარხნის სათადარიგო ნაწილები
42	ბეტონის ქარხნის ელ. ნაწილები და აგრეგატები
43	ღორღი და სხვადასხვა ფრაქციის ქვიშა-ღორღოვანი მასალები
44	ბიტუმი, ბიტუმის ემულსია
45	ასფალტობეტონი
46	ცემენტი
47	სამშენებლო მასალები
48	ელ. გენერატორები
49	სპეც. ზეთები და საცხებ-საპოხი მასალები
50	დიზელის საწვავი
51	ბენზინი
52	საგზაო ნიშნები, ბოძკინტები, თვალამრიდები
53	გამაფრთხილებელი ნიშნები
54	არმირებული გრუნტის ელემენტები
55	სხვადასხვა ჭურჭელი-რეზერვუარი
56	ჟანგბადი, ჟანგბადის ბალონები
57	თხევადი გაზი
58	ბეტონის ქარხანა
59	მუშებისა და მომსახურე პერსონალის საცხოვრებელი ვაგონები
60	სასაწყობე ვაგონები
61	ელექტრონული აღრიცხვის სისტემები
62	სარქველები
63	ურდულები
64	კონსტრუქციული მასალები
65	არმატურა
66	ქვიშა-ხრეშის ნარევი
67	საბეტონე მასალა
68	ბეტონი
69	ყვითელი ქვიშა
70	პემზა

71	კიბეები
72	კიბის საფეხურები
73	ბეტონის ჭები
74	პოლიეთილენის ჭები
75	ლიუკებისა და ჭების ელემენტები
76	ლიუკებისა და ჭების სახურავები
77	საკეტიანი კაბინები და კარადები
78	სეიფები
79	საფოსტო ყუთები
80	ლამპიონები
81	გარე განათება
82	განათების სისტემები
83	ბეტონისა და ქვის ფილები
84	მოზაიკური ფილები
85	ბუნებრივი ქვის ფილები
86	კერამიკული ფილა (კედლის)
87	კერამიკული ფილაა(იატაკის)
88	ლამინატისა და ხის პლინტუსები
89	ხის პარკეტი
90	ლამინირებული პარკეტი
91	ლინოლეუმი
92	კარ-ფანჯრების საკეტები და მოწყობილობები (ფურნიტურა)
93	ხის და მონათესავე მასალის კარ-ფანჯრები
94	მეტალოპლასტმასის კარ-ფანჯრები
95	მეტალის კარ-ფანჯრები
96	მინა
97	ქლორვინილის ქაფი
98	ხის კოჭები
99	გადასახური მასალები
100	მეტალოკრამიტი
101	ფურცლოვანი თუნუქი
102	პოლიკარბონატი
103	წყალშემკრები ძაბრები
104	სანტექნიკური მასალები
105	პოლიმერული მასალის წყალსადენის მილები
106	პოლიეთილენის მუხლები
107	პოლიეთილენის სამკაპები
108	პოლიეთილენის რედუქტორები
109	პოლიეთილენის ადაპტორები
110	პოლიეთილენ ფოლადის გადამყვანები
111	პოლიეთილენ თუჯის გადამყვანები

112	პოლიეთილენის ე/შ ქუროები
113	პოლიეთილენის ე/შ უნაგირები
114	პოლიეთილენის ჯვარედინები
115	სახანძრო ჰიდრანტები (მიწისქვეშა)
116	თუჯის შიბერული ურდულები
117	ჭედადი თუჯის ურდულები
118	თუჯის სოლისებრი ურდულები
119	თუჯის დროსირებული ურდულები
120	თუჯის საჰაერო ურდულები
121	ვენტილები (ხრახნიანი)
122	რკინის ფლანეცები
123	შესადუღებელი აპარატები
124	ელექტროდები
125	ფოლადის დემონტირებადი ქუროები
126	ფოლადის მილები
127	ლითონის კვადრატული მილები
128	ლითონის კუთხოვანა
129	შველერები
130	სავენტილაციო სისტემის მასალები
131	კანალიზაციისა და ვენტილაციის პლასტმასის მილები
132	კანალიზაციის მასალები
133	თბოიზოლაციის მასალები
134	ჰიდროსაიზოლაციო მასალები
135	ელექტრო, გაზისა და წყლის მრიცხველები
136	წყალსადენის მასალები
137	უნიტაზები
138	პირსაბანი ნიჟარები
139	საშხაპის ქვესადგამები
140	ონკანები
141	სანათები, ნათურები, ჭაღები
142	ელექტრო ფურნიტურა
143	ელექტრო კაბელები
144	სამონტაჟო მასალები
145	ელექტრო სამონტაჟო მასალები
146	ელექტრო გამანაწილებელი ფარები
147	წყალემულსიის საღებავები
148	ზეთოვანი საღებავები
149	ფასადის საღებავები
150	საფითხნი მასალა (“შპაკლი”)
151	თაბაშირ-მუყაოს ფილები
152	შპალერი და სხვა საფარი

153	პლასტიკატის შეკიდული ჭერის მასალები
154	სამსხმელო ყალიბები/ფორმები
155	ხარაჩოები
156	ხისა და მონათესავე პროდუქტის საყალიბე მასალა
157	ხის მასალა
158	ლურსმნები
159	გაზქურები, გაზის გამათბობლები
160	წყლის გამაცხელებლები
161	მყარი საწვავი
162	ქიმიური პროდუქტები
163	ქუჩების, ბაღების გასაფორმებელი სეზონური მცენარეები, ბალახი, ბალახის თესლი
164	წიწვოვანი და ფოთლოვანი ხე-მცენარეები და ნერგები
165	მუშებისა და მომსახურე პერსონალის საკვები
166	საყოფაცხოვრებო დანიშნულების ჭურჭელი
167	თეთრეული, ლეიბები, ბალიშები, საბნები, პირსახოცები
168	არმატურა დ=6მმ
169	არმატურა დ=8მმ
170	არმატურა დ=10მმ
171	არმატურა დ=12მმ
172	არმატურა დ=14მმ
173	არმატურა დ=18მმ
174	არმატურა დ=20მმ
175	არმატურა დ=22მმ
176	არმატურა დ=25მმ
177	არმატურა დ=28მმ
178	არმატურა დ=32მმ
179	არმატურა დ=36მმ
180	არმატურა დ=40მმ
181	არმატურის საჭრელები და საღუნები
182	მავთული შესაკრავი
183	მავთული შედუღების
184	გლინულა დ=2-3მმ
185	გლინულა დ=6.5-8მმ
186	ორტესებრი ძელები №10-18
187	ორტესებრი ძელები №20-36
188	შველერები №6,5-14
189	შეველერები №16-24
190	კუთხოვანა 20Ხ20Ხ2,5-დან 45Ხ45Ხ5-მდე
191	კუთხოვანა 50Ხ50Ხ3-დან 100Ხ100Ხ10-მდე

192	კვადრატი 6Ი6-დან 16Ი16-მდე
193	კვადრატი 18Ი18-დან 32Ი32-მდე
194	შიფერი თუნუქის მოთუთიებული
195	მეტალოპროფილი
196	მეტალოპროფილი გალვანიზებული
197	მეტალოკრამიტი კეხი
198	მეტალოფურცელი
199	პარაგრიტები
200	ტერამიშები
201	გაბიონები
202	ბიომატერია
203	გეოტექსტილი
204	რენოს მატრასები
205	სპილენძის რგოლები, სტეპლერები
206	თუნუქი ფურცლოვანი 0,5მმ-დან 0,8მმ-დე
207	თუნუქი ფურცლოვანი 1,0მმ-დან-1,4მმ-მდე
208	ზოლოვანა 18Ი3-დან 50Ი3-მდე
209	ზოლოვანა 50Ი4-დან 100Ი10-მდე
210	შავი ლითონის კონსტრუქციები
211	ბადეები წყობის, უჯრედის
212	მოაჯირის ბადეები
213	მოაჯირის ელემენტები
214	ბადეები, ეკალმავთული
215	თოკები, ტროსები, საჭიმები
216	გისოსები სხვადასხვა ფორმის
217	ლითონის ვიტრაჟები
218	ავტოფარეხის კარებები
219	გოფრირებული კარებები
220	ფარდა-ჟალუზები
221	რიგელების კონსტრუქციები
222	ფერმის კონსტრუქციები
223	სვეტების კონსტრუქციები
224	განათების ანძები რადიორელეური
225	ჯაჭვები, ბაგირები, გვარლები
226	ფოლადის მილები დ=15მმ
227	ფოლადის მილები დ=20მმ
228	ფოლადის მილები დ=25მმ
229	ფოლადის მილები დ=32მმ
230	ფოლადის მილები დ=40მმ
231	ფოლადის მილები დ=50მმ
232	ფოლადის მილები დ=57მმ

233	ფოლადის მილები დ=65მმ
234	ფოლადის მილები დ=80მმ
235	ფოლადის მილები დ=90მმ
236	ფოლადის მილები დ=100მმ
237	ფოლადის ელექტროშედუღებადი მილები
238	მაგისტრალური ნავთობსადების მილები
239	თუჯის მილები
240	კერამიკული მილები
241	პოლივინილპლასტის მილები
242	კანალიზაციის გოფრირებული მილები
243	გოფრირებული მილები
244	ფერადი ლითონის ნაკეთობები
245	ფერადი ლითონები
246	ძვირფასი ლითონის ნაკეთობები
247	ძვირფასი ლითონები
248	აგური თიხის, კერამიკული
249	აგური თიხის, კერამიკული ორმაგი
250	აგური თიხის, მოსაპირკეთებელი
251	აგური თიხის, ფასადის
252	თიხის სატიხრე კერამიკული ბლოკი
253	აგური სილიკატური
254	ბეტონის ბლოკი წერტილოვანი საფუძვლის
255	ბეტონის ბლოკი საძირკვლის
256	ბეტონის ბლოკი ზეძირკვლის
257	ბლოკი მცირე ზომის
258	ტიხრის ბლოკი
259	ბეტონის სასარტყლე ბლოკი
260	ფასადის მოსაპირკეთებელი ბლოკი
261	ბეტონის წყლის სანიაღვრე ფილა
262	რკინაბეტონის მილები
263	რკინაბეტონის ნაკეთობები
264	რკინაბეტონის ხიმინჯები L=6,5-9m-მდე
265	რკინაბეტონის ხიმინჯები L=9m-მეტი
266	რკინაბეტონის ზღუდარი
267	რკინაბეტონის გადახურვის ფილები
268	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-50, მ-75 (B-7)
269	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-100, (B-7,5)
270	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-150, (B-11)
271	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-200, (B-15)
272	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-250, (B-18,5)

273	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-270, (B-20)
274	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-300, (B-22,5)
275	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-327, (B-25)
276	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-400, (B-30)
277	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-460, (B-35)
278	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ღორღის) კონსტრუქციული მ-521, (B-40)
279	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ხრეშოვანი) მომზადებისათვის მ-50, მ-75
280	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ხრეშოვანი) მომზადებისათვის მ-100
281	სასაქონლო ბეტონი მძიმე (ხრეშოვანი) მომზადებისათვის მ-200
282	სასაქონლო მსუბუქი ბეტონი მ-50
283	სასაქონლო მსუბუქი ბეტონი მ-75
284	სასაქონლო მსუბუქი ბეტონი მ-100
285	სასაქონლო სულფატმედეგი ბეტონი მ-100 (B-7,5)
286	სასაქონლო სულფატმედეგი ბეტონი მ-150 (B-11)
287	სასაქონლო სულფატმედეგი ბეტონი მ-200 (B-15)
288	სასაქონლო სულფატმედეგი ბეტონი მ-270 (B-20)
289	სასაქონლო სულფატმედეგი ბეტონი მ-300 (B-22,5)
290	სასაქონლო სულფატმედეგი ბეტონი მ-320 (B-25)
291	ცემენტი მ-300
292	ცემენტი მ-400
293	დცემენტი მ-500
294	ცემენტი მ-300 (ნაყარი)
295	ცემენტი მ-400 (ნაყარი)
296	ცემენტი მ-500 (ნაყარი)
297	ევროცემენტი მ-400
298	ჰაიდელბერგცემენტი მ-400
299	ჰაიდელბერგცემენტი მ-300
300	ცემენტი დეკორატიული
301	ცემენტის მზა ნარევი ჭიმის მოსაწყობათ
302	ცარცი
303	ბეტონის ანტიფრიზი
304	ჰიდროსაიზოლაციო ცემენტი
305	საბურულე მასალები
306	ტოლი
307	პერგამინი
308	რუბეროიდი
309	ბრიზოლი
310	კილიტარუბეროიდი (ფოლგორუბეროიდი)
311	ლინიკრომი
312	ბიკროსტი
313	ბიტულინი

314	კილიტაიზოილი
315	ჰიდროიზოლი
316	ფუნდალინი
317	ფუნდალინის დამაგრების დუბელი
318	შინგლი სხვადასხვა ზედაპირით
319	ხსნარი წყობის
320	ხსნარი მოსაპირკეთებელი
321	ასფალტობეტონი მსხვილმარცვლოვანი
322	ასფალტობეტონი საშუალომარცვლოვანი
323	ასფალტობეტონი წვრილმარცვლოვანი
324	ფილერი
325	სამშენებლო ქიმია
326	სენდვიჩ პანელები
327	სენდვიჩ გადახურვა
328	რადიატორები
329	გათბობის ქვაბები
330	სანთურები
331	კოლექტორები
332	სამაცივრო დანადგარები
333	ლიფტები
334	ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობები
335	ავტობიტუმმზიდები
336	ავტოცემენტმზიდები
337	შასი თვითმავალი
338	კოშკურა ამწეები
339	ჯოჯგინა ამწეები
340	ამწეები საავტომობილო სვლაზე
341	ამწეები მუხლუხა სვლაზე
342	ჯალამბარები
343	სასწორები
344	კონვეიერი ლენტური
345	გრეიდერები მცირე სიმძლავრის
346	გრეიდერები საშუალო სიმძლავრის
347	გრეიდერები მაღალი სიმძლავრის
348	კომპრესორი მოძრავი
349	კომპრესორი თვითმოძრავი
350	ექსკავატორი ერთციცხვიანი 0,25-0,80 კუბ.მ
351	ექსკავატორი ერთციცხვიანი 1-1,25 კუბ.მ
352	ექსკავატორი კოდალა
353	ქან-მგრეევი მექანიზმები
354	მუხლუხა ექსკავატორი

355	პნევმატურთვლებიანი ექსკავატორი
356	ბულდოზერები 37-79 კვტ
357	ბულდოზერები 96-228 კვტ
358	ბულდოზერ-გამფხვიერებლები
359	ორმოსმთხრელი მანქანები
360	ბეტონმრევები
361	ბეტონის ტუმბოები
362	ავტოგუდრონატორები
363	სატკეპნი ვიბრაციული
364	სატკეპნი გლუვი
365	სატკეპნი თვითმავალი პნევმოსვლაზე
366	ქვაბი ბიტუმის მოძრავი
367	მოსარწყავ-მოსარეცხი მანქანა
368	ასფალტობეტონის დამგები
369	ხიმინჯის აგრეგატები
370	საბურღი აგრეგატები
371	საველე მილშესადუღებელი ბაზა
372	ბიტუმსადნობი აგრეგატები
373	ანკერების ჩასახრახნი მანქანა
374	დასაწნეხი აგრეგატები
375	ავტობეტონმრევი
376	ავტოთვითმცლელები 12-27ტ
377	ავტოთვითმცლელები 40-180ტ
378	სანგრევი ჩაქუჩები
379	ავტომობილები ბორტიანი
380	ავტოთვითსაცლელი
381	საწევარი – ტრაილერები
382	ელექტრომოწყობილობები ძრავებისა და სატრანსპორტო საშუალებებისათვის
383	განათების არმატურა
384	განათების სისტემები
385	ელექტრო მოწყობილობები და აპარატურა
386	წყლის ტუმბოები
387	საშინაო მოხმარების ხელსაწყოები
388	მოწყობილობები სანიტარული მომსახურებებისათვის
389	ბლოკის საჭრელი დანადგარები
390	მსუბუქი ავტომობილები
391	მაღალი გამავლობის ავტომობილები
392	რაფის ტიპის ავტომობილები
მომსახურება	

393	კომპიუტერული მომსახურება
394	პროგრამული უზრუნველყოფა
395	საინფორმაციო და სარეკლამო მომსახურება
396	ნებართვებისა და სპეცფორმების აღება
397	რუკების ბეჭდვა
398	საფოსტო მომსახურება
399	წარმომადგენლობითი ხარჯები
400	საპროექტო მომსახურება
401	"ვირტგენ ინტერნაციონალის" ჯგუფში შემავალი სპეც. ტექნიკის რემონტი
402	"კატერპილარის" ჯგუფში შემავალი სპეც. ტექნიკის რემონტი
403	ქვის სამსხვრევი საამქროს რემონტი
404	ბეტონის ქარხნის კვანძების რემონტი
405	ა/მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის ტექნიკური მომსახურება
406	ა/მანქანებისა და სამშენებლო ტექნიკის რემონტი
407	მძიმე გაბარიტული და არაგაბარიტული ტვირთების ტრანსპორტირება
408	ა/მანქანებისა და სპეცტექნიკის ტექდათვალიერება
409	დაზგა-დანადგარებისა და ელ. გენერატორების რემონტი
410	სანოტარო მომსახურება
411	თარგმნა
412	იურიდიული მომსახურება
413	სადაზღვევო მომსახურება
414	აუდიტური, საკონსულტაციო მომსახურება
415	პერსონალის გადამზადება, ტრენინგ სემინარები
416	ექსპერტიზის მომსახურება
417	საბროკერო მომსახურება
418	საშუამავლო მომსახურება
419	ლაბორატორიული მომსახურება
420	დაცვა
421	დასუფთავება
422	სატრანსპორტო მომსახურება
423	სპეც. ტექნიკით მომსახურება
424	ა/მანქანებისა და სპეც. ტექნიკის იჯარა
425	მუშებისა და მომსახურე პერსონალის კვება
426	ასფალტის ქარხნის კვანძების რემონტი
427	სამრეცხაო მომსახურეობა
428	ბეჭდვა და მასთან დაკავშირებული მომსახურებები
429	სამხერხაო მომსახურება
430	სატყეო მომსახურებასთან დაკავშირებული მომსახურებები
431	სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მომსახურებები

432	გრეიდერების იჯარა
433	გრეიდერებით მომსახურება
434	ექსკავატორების იჯარა
435	ექსკავატორებით მომსახურება
436	ავტოდამტვირთავების იჯარა
437	ავტოდამტვირთავებით მომსახურება
438	ბულდოზერების იჯარა
439	ბულდოზერებით მომსახურება
440	სატკეპნების იჯარა
441	სატკეპნებით მომსახურება
442	ვიბროსატკეპნის იჯარა
443	ვიბროსატკეპნით მომსახურება
444	რესაიკლერის იჯარა
445	რესაიკლერით მომსახურება
446	საბურღი აგრეგატებით მომსახურება
447	საბურღი აგრეგატების იჯარა
448	ფრეზის იჯარა
449	ფრეზით მომსახურება
450	მაღალი ტევადობის თვითმცლელების იჯარა
451	მაღალი ტევადობის თვითმცლელებით მომსახურება
452	ავტოთვითმცლელების იჯარა
453	ავტოთვითმცლელებით მომსახურება
454	ასფალტის დამგების იჯარა
455	ასფალტის დამგებით მომსახურება
456	ემულსიამზიდის იჯარა
457	ემულსიამზიდით მომსახურება
458	ემულსიის მოსასხმელი მანქანის იჯარა
459	ემულსიის მოსასხმელი მანქანით მომსახურება
460	წყლის მზიდი მანქანების იჯარა
461	წყლის მზიდი მანქანებით მომსახურება
462	დასასუფთავებელი მანქანების იჯარა
463	დასასუფთავებელი მანქანებით მომსახურება
464	ავტოამწეების იჯარა
465	ავტოამწეებით მომსახურება
466	ბეტონმზიდი მანქანების იჯარა
467	ბეტონმზიდი მანქანებით მომსახურება
468	ტრაილერების იჯარა
469	ტრაილერებით მომსახურება
470	ქანმნგრევი მექანიზმებით მომსახურება
471	ქანმნგრევი მექანიზმების იჯარა
472	ბეტონის დამგების იჯარა

473	ბეტონის დამგებით მომსახურება
474	გრუნტის ტრანსპორტირების მომსახურება
475	ბალასტის ტრანსპორტირების მომსახურება
476	სატვირთო მანქანების დაქირავება მძღოლებთან ერთად
477	ავტომობილების დაქირავება მძღოლებთან ერთად
478	ქვიშა-ხრეშის ტრანსპორტირების მომსახურება
479	ბიტუმის ტრანსპორტირების მომსახურება
480	არმატურის ტრანსპორტირების მომსახურება
481	ხე-ტყის ტრანსპორტირების მომსახურება
482	სამშენებლო ბლოკის ტრანსპორტირების მომსახურება
483	შეფუთული ცემენტის ტრანსპორტირების მომსახურება
484	ნაყარი ცემენტის ტრანსპორტირების მომსახურება
485	ქვიშის ტრანსპორტირების მომსახურება
486	გაჯის ტრანსპორტირების მომსახურება
487	კარ-ფანჯრების მონტაჟისა და რეგულირების მომსახურება
488	საკეტების მონტაჟისა და რეგულირების მომსახურება
489	ტუმბოების იჯარა
490	ტუმბოების შეკეთება და მომსახურება
491	სარქველების შეკეთება და მომსახურება
492	ონკანების შეკეთება და მომსახურება
493	ძრავების, ტრანსფორმატორებისა და გენერატორების მონტაჟი
494	ელექტროგამანაწილებელის და საკონტროლო მოწყობილობების მონტაჟი
495	ელექტრო და მექანიკური მოწყობილობების მონტაჟი
496	სტუმრების დახვედრისა და მიღების ორგანიზების მომსახურება
497	საკონფერენციო დარბაზის იჯარა, საკონფერენციო მომსახურება
498	საინჟინრო მომსახურება
499	ტექნიკური შემოწმება, ანალიზი და საკონსულტაციო მომსახურება
500	მონიტორინგი და კონტროლი
501	კვლევასთან და დამუშავებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო მომსახურებები
502	კვლევისა და დამუშავების დაპროექტება და განხორციელება
503	საყალიბე მასალის იჯარა
504	კონსტრუქციული მასალების იჯარა
505	დასუფთავება და სანიტარული მომსახურება

დანართი №2

ანგარიში

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ _____ წელს ერთ პირთან მოლაპარაკების საშუალებით განხორციელებული შესყიდვების შესახებ

№	მიმწოდებელი მხარის დასახელება	მიწოდებული საქონლის ღირებულება	გაწეული მომსახურების ღირებულება	შესყიდვის საერთო ღირებულება	შესყიდვისათვის ფაქტობრივად გადახდილი თანხა

დანართი №3

ანგარიში

შპს „სახელმწიფო სამშენებლო კომპანიის“ მიერ _____ წელს პირობათა გამოკითხვის საშუალებით განხორციელებული შესყიდვების შესახებ

№	მიმწოდე-ბელი მხარის დასახელება	მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების დასახელება	მიწოდებული საქონლის ან გაწეული მომსახურების ღირებულება	შესყიდვის შედეგად დადებული ხელშეკრუ-ლების მოქმედების ვადა	შესყიდვი-სათვის ფაქტობრი-ვად გადახდილი თანხა